პერსონალის შერჩევის დებულება

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი *3*

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი 3

მუხლი 2. პერსონალის შერჩევის პრინციპები 3

თავი II. პერსონალი *3*

მუხლი 3. აკადემიური თანამდებობები 3

მუხლი 4. აკადემიური პერსონალი და მათი ზოგადი უფლებამოსილებანი 4

მუხლი 5. ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები 4

მუხლი 6. დასაქმების დაუშვებლობა 4

თავი III. პერსონალის არჩევისა და დანიშვნის პირობები *5*

მუხლი 7. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები 5

მუხლი 8. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები 5

მუხლი 9. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები 5

მუხლი 10. ასისტენტის თანამდებობაზე არჩევის პირობები 6

მუხლი 11. პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი 6

მუხლი 12. მოწვეული პერსონალის შერჩევის პირობები 6

თავი IV. პერსონალის არჩევისა და დანიშვნის პროცედურა *6*

მუხლი 13. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის არჩევისა და დანიშვნის პრინციპები და ზოგადი წესი 7

მუხლი 14. კონკურსის გამოცხადება 7

მუხლი 15. კონკურსის ეტაპები და საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი 8

მუხლი 16. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ან არჩევაზე/დანიშვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილების გასაჩივრება 9

მუხლი 17. პერსონალის შრომითი ურთიერთობები 9

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს დებულება ადგენს ვებსტერ უნივერსიტეტის, ინკ.-ის საქართველოს ფილიალში (შემდგომში - ფილიალი) აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის არჩევასთან ან დანიშვნასთან დაკავშირებულ წესებს.

2. ფილიალის ყველა თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს პერსონალის შერჩევის პროცესში, ვალდებულია იხელმძღვანელოს წინამდებარე დებულებით.

3. ამ დებულებაში მითითებული წესები შეესაბამება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

4. დებულების მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს კვალიფიციური პერსონალის შერჩევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ვებსტერ უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. პერსონალის შერჩევის პრინციპები

1. ფილიალი პერსონალს ირჩევს და ნიშნავს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესებით.

2. პერსონალის შეირჩევის პროცედურა არის სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური.

3. პერსონალის შერჩევისას დაუშვებელია დისკრიმინაცია რაიმე ფორმით. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

თავი II. პერსონალი

მუხლი 3. აკადემიური თანამდებობები

1. ფილიალი საკუთარი მისიის, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების გათვალისწინებით ქმნის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებს.

2. კანონმდებლობის შესაბამისად, დასაშვებია შეიქმნას ამ მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებული სხვა თანამდებობებიც.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალი და მათი ზოგადი უფლებამოსილებანი

1. ფილიალის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

3. პროფესორს უფლება აქვს წარმართოს სასწავლო პროცესი და უხელმძღვანელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

4. ასოცირებულ პროფესორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და უხელმძღვანელოს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

5. ასისტენტ-პროფესორს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

6. ასისტენტი უფლებამოსილია ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში განახორციელოს სასემინარო და კვლევით სამუშაო პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

მუხლი 5. ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები

ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები და თანამდებობის პირთა უფლებამოსილებები განისაზღვება ფილიალის შიდა სამართლებრივი აქტებით ან/და შესაბამისი თანამდებობის პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 6. დასაქმების დაუშვებლობა

ფილიალი კრძალავს შემდეგი პირების დასაქმებას და საგანმანათლებლო პროცესში რაიმე ფორმით ჩართვას:

ა) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი;

ბ) პირი, რომელსაც „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

თავი III. პერსონალის არჩევისა და დანიშვნის პირობები

მუხლი 7. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

გ) შეესაბამება ფილიალის საკადრო პოლიტიკითა და საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე დამატებით პირობებს, რაც აისახება კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში.

2. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.

3. საგამონაკლისო წესით, დასაშვებია პირი არჩეულ იქნას უვადოდ, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და თუ მას აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები. დამატებითი პირობები დგინდება რექტორის ბრძანებით. დამატებითი პირობა შესაძლოა იყოს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში ან/და პირს მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

მუხლი 8. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

1. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 9. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

1. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნას, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

2. ასისტენტ-პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 10. ასისტენტის თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

2. ასისტენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 11. პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი

1. პროფესორის, ასოცირებული პროცესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავება დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მიიჩნევა ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 12. მოწვეული პერსონალის შერჩევის პირობები

1. ფილიალი უფლებამოსილია ამ დებულებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

2. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ მიიჩნევა პირი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი ცალკეული კომპონენტის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია.

3. მოწვეული პერსონალის საქმიანობის პირობები და ვადა განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით და გამომდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი ცალკეული კომპონენტის შესრულების მიზნებიდან.

თავი IV. პერსონალის არჩევისა და დანიშვნის პროცედურა

მუხლი 13. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის არჩევისა და დანიშვნის პრინციპები და ზოგადი წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესარჩევად ფილიალი უფლებამოსილია გამოიყენოს ღია კონკურსის წესი.

მუხლი 14. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება:

ა) ვაკანტური თანამდებობები და ვაკანტურ თანამდებობებზე არჩევის/დანიშვნის პირობები;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;

გ) კონკურსის ეტაპები და ვადები.

2. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

3. განცხადება კონკურსის შესახებ ქვეყნდება საჯაროდ ფილიალის ვებგვერდზე. კონკურსის შესახებ განცხადება შესაძლებელია გამოქვეყნდეს სხვა ვებგვერდზე ან გავრცელდეს მედიით.

4. რექტორის ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, ინიშნება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

5. ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით დაინტერესებული პირი წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გ) დიპლომისა და დიპლომის დანართის სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

6. რექტორის ბრძანებით შესაძლოა განისაზღვროს დამატებით წარსადგენი დოკუმენტები.

მუხლი 15. კონკურსის ეტაპები და საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი

1. საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესებით.

2. კონკურსი ტარდება ოთხ ეტაპად:

ა) I ეტაპი - საკონკურსო დოკუმენტების მიღება და საკონკურსო განაცხადთან მისი ფორმალური შესაბამისობის დადგენა;

ბ) II ეტაპი - საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლა და კანდიდატების შერჩევა გასაუბრებისთვის;

გ) III ეტაპი - კანდიდატებთან გასაუბრება;

დ) IV ეტაპი - კანდიდატების შერჩევა და რექტორისთვის რეკომენდაციის წარდგენა.

3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეარჩიოს კანდიდატებთან გასაუბრების ფორმატი და, საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრება ჩაატაროს ელექტრონული საშუალებებისა და პროგრამების/პლატფორმების გამოყენებით.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება უბრალო უმრავლესობა. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. საკონკურსო კომისია სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რექტორი ნიშნავს საკონკურსო კომისიის ახალ თავმჯდომარეს.

6. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ადგენს საკონკურსო კომისიის მდივანი. სხდომის ოქმს ხელს აწერს საკონკურსო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.

7. საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, მათ შორის, თავმჯდომარე და მდივანი.

8. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით შესაბამისი რეკომენდაცია წარედგინება რექტორს. რექტორის გადაწყვეტილების შემდეგ, პირი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე და მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

9. კონკურსის ეტაპებისა და პროცედურის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ფილიალის ადმინისტრაციული პერსონალი.

10. კონკურსის შედეგები ეცნობება კონკურსში მონაწილე კანდიდატებს.

მუხლი 16. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ან არჩევაზე/დანიშვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილების გასაჩივრება

ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ან არჩევაზე/დანიშვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. პერსონალის შრომითი ურთიერთობები

პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

Staff Selection Provisions

Chapter I. General Provisions

Article 1: Regulation's scope and objectives

1. These regulations lay out the guidelines for the recruitment or appointment of academic, visiting, administrative, and support staff at Webster University, Inc.'s Georgia branch (hereinafter referred to as "Webster University - Georgia").

2. This clause must be followed by every employee of Webster University - Georgia who takes part in the hiring process.

3. The rules specified in this regulation correspond to the requirements established by the Law of Georgia "On Higher Education" and other legislative and subordinate acts of Georgia.

4. The purpose of the provision is to ensure the selection of qualified personnel for Webster University - Georgia within the framework established by the legislation of Georgia, taking into account the personnel policy of Webster University - Georgia.

Article 2. Principles of personnel selection

1. Webster University - Georgia selects and appoints staff in accordance with the rules established by law and this statute.

2. The personnel selection procedure is fair, transparent and objective.

3. In the selection of personnel, discrimination in any form is not allowed. Discrimination on the basis of race, skin color, sex, origin, ethnic affiliation, language, religion, political or other opinions, social affiliation, property or rank, place of residence or other characteristics is prohibited.

Chapter II. personnel

Article 3. Academic positions

1. Webster University - Georgia creates academic, administrative and support positions in accordance with its mission, educational policy and educational program goals.

2. In accordance with the legislation, it is permissible to create other positions different from the first paragraph of this article.

Article 4. Academic staff and their general powers

1. Webster University - Georgia academic staff consists of professors, associate professors, assistant professors and assistants.

2. Professors participate in the educational process and scientific researches and/or lead them.

3. The professor has the right to lead the educational process and guide the scientific research work of the students.

4. The associate professor has the right to participate in the educational process and to guide the educational and scientific-research work of the students.

5. The assistant professor has the right to participate in the educational and scientific-research process in accordance with his competence.

6. The assistant is authorized to carry out seminar and research work under the guidance of a professor, associate professor or assistant professor within the framework of the current educational process in the main educational unit.

Article 5. Administrative and support positions

Administrative and support positions and powers of officials are determined by Webster University - Georgia's internal legal acts and/or employment contracts signed with relevant officials.
Article 6. Inadmissibility of employment

Webster University - Georgia prohibits the employment of the following persons and involvement in the educational process in any way:

a) a person convicted of committing a crime against sexual freedom and inviolability provided for by the Law of Georgia "On Combating Crimes Against Sexual Freedom and Inviolability";

b) A person who was deprived of the right to work in an educational institution by the court based on the Law of Georgia "On Combating Crimes Against Sexual Freedom and Inviolability".

Chapter III. Terms of selection and appointment of personnel

Article 7. Conditions for selection and appointment of a professor to the academic position

1. A person can be elected to the academic position of a professor if he meets the following requirements:

a) has a doctorate or equivalent academic degree.

b) has at least 6 years of scientific-pedagogical work experience;

c) complies with the additional conditions defined by the Webster University - Georgia personnel policy and educational program/program goals, which is reflected in the announcement of the competition.

2. A person will be elected to the academic position of a professor for a period of 4 years.

3. Exceptionally, a person may be elected for life if he meets the requirements set forth in the first paragraph of this article and if he has special professional achievements and/or scientific achievements. Additional conditions are established by the rector's order. Additional conditions may be scientific publications in leading local and international journals and other publications and/or the person has participated in national and international scientific research projects.

Article 8. Conditions for election and appointment of an associate professor to the academic position

1. A person can be elected to the academic position of associate professor if he meets the following requirements:

a) has a doctor's academic degree or equivalent;

b) has at least 3 years of scientific-pedagogical work experience.

2. A person will be elected to the academic position of associate professor for a period of 4 years.

Article 9. Conditions for selection and appointment to the academic position of assistant professor

1. A person may be elected to the academic position of assistant professor if he has an academic degree of doctorate or equivalent.

2. An assistant professor will be elected to an academic position for a term of 4 years.

Article 10. Conditions for election to the position of assistant

1. A doctoral candidate may be elected to the position of assistant.

2. The assistant will be elected for a term of 4 years.

Article 11. The procedure for being elected to an academic position on professional grounds

1. Holding the academic position of professor, associate processor, assistant professor and assistant is allowed by qualified personnel on professional grounds.

2. In the case provided by the first paragraph of this article, a person's qualifications can be confirmed by professional experience, special training and/or publications. A person who has the necessary competence to produce the learning outcomes provided for in the program is considered to have appropriate qualifications.

3. A person will be elected to an academic position on a professional basis for a period of 4 years.

Article 12. Conditions for the selection of invited personnel

1. Webster University – Georgia is authorized to invite a specialist with relevant qualifications to participate in the educational and/or scientific-research process and/or lead this process without occupying the academic positions provided for in this regulation.

2. A person who has the necessary competence to achieve the results of the educational program or its separate component is considered to have relevant qualifications.

3. The terms and duration of the activity of the invited staff are determined by the relevant labor contract and are derived from the goals of the educational program or its separate component.

Chapter IV. Procedure for selection and appointment of personnel

Article 13. Principles and general rules for the selection and appointment of academic, invited, administrative and support staff

1. An academic position may be held only through an open competition that complies with the principles of transparency, equality and fair competition.

2. Webster University - Georgia is authorized to use the rule of open competition for the selection of invited, administrative and support staff.

Article 14. Announcement of competition

1. The competition is announced by the rector's order, which determines:

a) Vacant positions and conditions of election/appointment to vacant positions;

b) list of documents to be submitted to participate in the competition;

c) Stages and deadlines of the competition.

2. The date and conditions of the competition for holding an academic position are published at least 1 month before the receipt of documents.

3. The announcement about the competition is published publicly on the website of Webster University - Georgia. The announcement about the competition can be published on another website or distributed through the media.

4. By order of the rector, the composition of the competition commission is approved, the chairman and secretary of the competition commission are appointed.

5. In order to fill a vacant position, the interested person shall submit the following documents:

a) a copy of the identity card;

b) Autobiography (CV) in Georgian and English languages.

c) duly certified copy of diploma and diploma supplement.

6. Additional documents to be submitted may be determined by order of the rector.

Article 15. Stages of the competition and rules of activity of the competition commission

1. The Competition Commission is guided by the legislation and the rules established by this regulation.

2. The competition is held in four stages:

a) Stage I - receiving tender documents and determining their formal compliance with the tender application;

b) II stage - study of competition documentation and selection of candidates for interview;

c) Stage III - interview with candidates;

d) IV stage - selection of candidates and submission of recommendation to the rector.

3. The competition commission is authorized to select the format of the interview with the candidates and, if necessary, to conduct the interview using electronic means.

4. The competition commission is authorized if a simple majority attends the session. The commission makes decisions by a simple majority of votes. In case of a split vote, the vote of the chairman of the commission is decisive.

5. The meeting of the competition commission is chaired by the chairman of the commission. In case of his inability to fulfill his duties, the rector appoints a new chairman of the competition commission.

6. The secretary of the competition commission draws up the minutes of the meeting of the competition commission.

7. The final decision of the competition commission is signed by all members of the commission, including the chairman and secretary.

8. Based on the decision of the competition commission, the appropriate recommendation for the appointment to the vacant position will be submitted to the rector. After the rector's decision, a person is appointed to a vacant position and a corresponding employment contract is signed with him.

9. Administrative support for the stages and procedure of the competition will be provided by Webster University - Georgia administrative staff.

10. The results of the competition will be notified to the candidates participating in the competition.

Article 16. Appealing the decision to elect/appoint or refuse election/appointment to a vacant position

The decision to elect/appoint or refuse election/appointment to a vacant position can be appealed in court according to the procedure established by the legislation of Georgia.

Article 17. Labor relations of personnel

The labor contract with the staff is concluded in the manner determined by the labor legislation of Georgia.